მობილური აპლიკაციის შემუშავება

მოთხოვნა წინადადებაზე

(Request for proposal)

გამოაგზავნეთ წინადადებები შემდეგ მისამართზე:

**მობილური აპლიკაციის მიზნები:**

არსებული საცალო ელ.კომერციის პორტალის მობილური აპლიკაციის ფრონტის შექმნა

**პლატფორმები:**

iOS

Android

**მოწყობილობები:**

სმარტფონი ტაბლეტი

**მიმდინარე**

**აპლიკაციების**

**მიმოხილვა:**

კომპანიის ამჟამინდელი აპლიკაცია ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნილებებს და საჭიროებს განახლებას

**ახალი აპლიკაციის მოთხოვნები:**

შერჩეული კომპანიები მიიღებენ დეტალურ ფუნქციების ჩამონათვალს გაუთქმელობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

ეს არის ძირითადი ფუნქციები, რომლებიც მობილური აპლიკაციას უნდა ჰქონდეს

- **პროდუქტის დათვალიერება** - პროდუქციის მრავალი სურათი, ფართო მიმოხილვის ვარიანტები, სურვილების სიები და მრავალი სხვა.
- **კატალოგის დათვალიერება** - მარტივი ნავიგაცია, მოწინავე პროდუქტის ფილტრაციის სისტემა.
- **მომხმარებელთა ანგარიშები** - შეკვეთის სტატუსი და ისტორია, „ვიშლისტი", წინასწარ არჩეული გადახდის მეთოდი და მიღების მისამართი.
- **მომხმარებელთა მომსახურება** - ქოლცენტრის / ონლაინ ჩათის ინტეგრაცია.
- **გადახდა** - საკრედიტო ბარათებით გადახდის შესაძლებლობა
- **ტრანსპორტირება** - მისამართის მითითება, გადამტანის არჩევა
- **გადახდა(Checkout)** - ერთ გვერდიანი გადახდა, გადახდა ანგარიშის გარეშე.
- **მარკეტინგული აქციები და ინსტრუმენტები** - კუპონები, ფასდაკლებები, სხვადასხვა სარეკლამო ვარიანტები და არსებული ლოიალობის ბარათის გამოყენების შესაძლებლობა.

- **შეტყობინებები** - ფუშ ნოტიფკაციების ინტეგრირება

**წინადადებების მოთხოვნები:**

გთხოვთ, შეიტანოთ შემდეგი თქვენი წინადადების პასუხში:

- თქვენი კომპანიის მოკლე მიმოხილვა
- ხელმისაწვდომი რესურსების ჩამონათვალი (დეველოპერების რაოდენობა, კვალიფიკაცია და ა.შ)
- ბოლოს შესრულებული მსგავსი პროექტ(ებ)ის ჩამონათვალი